

2022-2023 სასწავლო წლის
სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
შინაგანი სწულებები I (V სემესტრი)

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N3; 05/01/2007) შესაბამისად.

სტუდენტის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი შკალით. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი საგამოცდო შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შუალედური შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით:

შეფასების მეთოდი/ნაწილი	ქულების რაოდენობა	განმარტება
პრაქტიკულზე დასწრება	≤4 ქულა	4 ქულა სტუდენტს ენიჭება ყოველ პრაქტიკულ მეცადინეობის სრული დროის დასწრების შემთხვევაში; მეცადინეობის სრულად ან 1/3-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში დასწრების ქულა არ ენიჭება (0 ქულა); დასწრების საერთო ქულა განისაზღვრება თითოეულ პრაქტიკულზე დასწრების ქულათა საშუალო არითმეტიკულით
აკადემიური აქტიურობა	≤24 ქულა;	სასწავლო თემის შესაბამისი საკითხის ირგვლივ თხრობით ჩამოყალიბებული დებულებების / შინაარსის / მტკიცებების / განხილვების და/ან აღნიშნული საკითხის გამოკითხვის (პასუხები დასმულ შეკითხვებზე) შედეგების შეფასებით. შეფასება არ ხდება პირველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე და ასევე ჩათვლის დღეს. ამდენად, სტუდენტის აქტიურობა შეფასდება 4-ჯერ, თითოეულ შეფასებაზე - 6 ქულით;
პრაქტიკული უნარები	≤12 ქულა	კურსის მიმდინარეობის განმავლობაში პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება, მოდელირებულ სიტუაციაში. შეფასების მაქსიმალური ქულა 12-ია. თითოეული შეფასებისას 12-ქულიანი საკლა გამოიყენება, მიღებული შეფასების შედეგების საშუალო არითმეტიკულით განისაზღვრება სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების საბოლოო ქულა. პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის სტუდენტს დაევალება სასწავლო თემატიკის საკითხების ფარგლებში მოდელური კლინიკური სიტუაციის (კლინიკური შემთხვევის) განხილვა.
ჩათვლა /კოლოკვიუმები	≤20 ქულა	კურსის ბოლოს ჩატარდება 1 ჩათვლა - პრაქტიკული მეცადინეობების X დღეს. ჩათვლა შეფასდება 20 ქულით.
სულ	≤60 ქულა	გამოითვლება პრაქტიკულზე დასწრების, აკადემიური აქტიურობის, პრაქტიკული უნარების და ჩათვლა/კოლოკვიუმის ქულათა ჯამით

სასწავლო კურსი მთავრდება დასკვნითი გამოცდით. გამოცდა ფასდება 40 ქულით.

!!! გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა, ანუ შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას.

საგამოცდო შეფასება შედგენილი იქნება ორი კომპონენტით: მრავალარჩევნიანი ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით შეფასების კომპონენტებისგან. შესაბამისად შეფასებები განხორციელდება ამ კომპონენტების ჯამური შედეგებით: მრავალარჩევნიანი ტესტებით შეფასების წილი არ აღემატება 20 ქულას, ისევე როგორც ზეპირი გამოკითხვის შედეგი - 20 ქულას.

შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის (დონის) **დადებითი შეფასება:**

- (A) ფრიალი –91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
- (E) საკმარისი –51-60 ქულა;

შეფასების სისტემით დაშვებულია ორი სახის **უარყოფითი შეფასება:**

(F_x) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – ≤40 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული საშუალო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.